

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის  
2009 წლის 6 აპრილის №476 ბრძანება

მცველის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

„კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს“ დებულების მე-11 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს კერძო დაცვითი ორგანიზაციის მცველის მოწმობის თანდართული ფორმა.

1<sup>1</sup>. მცველის მოწმობის გაცემას აწარმოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო.

1<sup>2</sup>. მცველის მოწმობა გაიცემა 1 (ერთი) წლის ვადით.

1<sup>3</sup>. ვადაგასული ან ვადაზე ადრე ჩამორთმეული მცველის მოწმობა კერძო დაცვითი ორგანიზაციის მიერ ბარდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს.

1<sup>4</sup>. მცველის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში კერძო დაცვითი ორგანიზაცია აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 29 იანვრის №107 ბრძანება „მცველის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“.

3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**მინისტრი**

# მცველის მოძრაობა

**სახელი  
გვარი**

კერძო ღაცვითი ორგანიზაციის  
დასახელება

**მცველი**

9 9 9 9 9

ს.ხ.მ.ა დაცვის პოლიციის  
დესპეტაჟაჟი

შუალედური სტრ.  
კალაშია 01/01/2017